საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/159 " 9 " ივლისი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 4 მოსამართლით.“;

ბ) მე-8 მუხლის:
ბ.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 16 მოსამართლით.“;
ბ.ბ) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში – 7 მოსამართლით;“;

გ) მე-13 მუხლის:
გ.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. გორის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 11 მოსამართლით.“;
გ.ბ) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 4 მოსამართლით;“;

დ) მე-20 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 126 მოსამართლით.
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 51 მოსამართლით;
ბ) სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში - 43 მოსამართლით;
გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 32 მოსამართლით.“;

ე) 30-ე მუხლის:
ე.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. მცხეთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 9 მოსამართლით.“;

ე.ბ) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 2 მოსამართლით;“;

ვ) 33-ე მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 13 მოსამართლით.
5. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში – 5 მოსამართლით;
ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 4 მოსამართლით;
გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში – 2 მოსამართლით.
6. რუსთავის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვროს 2 მოსამართლით, რომლებიც უფლებამოსილებას განახორციელებენ გარდაბნის მუნიციპალიტეტში.“;

ზ) 43-მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 13 მოსამართლით.
5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 3 მოსამართლით;
ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში – 4 მოსამართლით;
გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში – 3 მოსამართლით.“;

თ) 58-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს 81 მოსამართლით.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიასა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
ა) სამოქალაქო საქმეთა პალატაში - 33 მოსამართლის შემადგენლობით;
ბ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში - 19 მოსამართლის შემადგენლობით;
გ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში - 22 მოსამართლის შემადგენლობით;
დ) საგამოძიებო კოლეგიაში - 7 მოსამართლის შემადგენლობით.“;

ი) 59-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს 22 მოსამართლით.
4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიასა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
ა) სამოქალაქო საქმეთა პალატაში - 8 მოსამართლის შემადგენლობით;
ბ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში - 7 მოსამართლის შემადგენლობით;
გ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში - 5 მოსამართლის შემადგენლობით;
დ) საგამოძიებო კოლეგიაში – 2 მოსამართლის შემადგენლობით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი